ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 37 177

25/02/2016

ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩა №8–ში შენობის პირველ სართულზე არსებული 232.30 მ² ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.253.01.501) პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი ნაწილის „დ"–ქვეპუნქტის „დ.ა"–ქვეპუნქტის, „ე"–ქვეპუნქტის „ე.ე"–ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებისა და „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 თებერვლის №38 23 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩა №8–ში შენობის პირველ სართულზე არსებული 232.30 მ² ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.253.01.501) განისაზღვრის საპრივატიზაციო ობიექტად.

1.2. ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩა №8–ში შენობის პირველ სართულზე არსებული 232.30 მ² ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.253.01.501) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.3. ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩა №8–ში შენობის პირველ სართულზე არსებული 232.30 მ² ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი

№34.08.56.253.01.501) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 150000 (ასორმოცდაათიათასი) ლარი.

1.4. ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩა №8–ში შენობის პირველ სართულზე არსებული 232.30 მ² ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.253.01.501) ბიჯი განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%–ს ოდენობით.

1.5. ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩა №8–ში შენობის პირველ სართულზე არსებული 232.30 მ² ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.253.01.501) ელექტრონულ აუქციონზე საგარანტიო თანხა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%–ს ოდენობით.

1.6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი